ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2536657

ნომერი: AR1393411

თარიღი : 05.04.2016

გაცემის თარიღი : 12.04.2016

გაცნობის თარიღი : 14.04.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ილია ჭავჭავაძე , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- არჩილ კერესელიძე პ/ნ 01009018514
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 36 ბ. 40

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგ:

"განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე"–ს ველში მითითებულია N 01.14.14.011.060.01.05.648 საკადასტრო კოდი, რომელიც ირიცხება სს "სადაზღვევო კომპანია იმედი ელ"–ის საკუთრებაში და რომელიც მდებარეობს არსებული შენობის მეორე სართულზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად კი სარეკლამო აბრის განთავსება ხდება აღნიშნული შენობის გვერდით არსებულ ღობეზე. აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრისთვის, საჭიროა წარმოადგინოთ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმა არსებული ღობისა და სარეკლამო აბრის დატანით. ასევე საჭიროა ისარგებლოთ რუკის ცვლილების ღილაკით და სწორად მიუთითოთ იმ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი რომელზეც არის განთავსებული არსებული ღობე. აღნიშნულის შესაბამისად ასევე უნდა დააკორექტიროთ მესაკუთრის თანხმობა.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.